სს. კოდი: 010250050.35.121.016361
გამოქვეყნების თარიღი: 04.02.2019

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N 6

2019 წლის 31 იანვარი

ქ.ვანი

,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31.01.2018 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.121.016292) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
   „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"
2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
   „1. დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება დანართი N1-ის შესაბამისად."
3. დადგენილების დანართი N1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
   „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება"
4. დადგენილების დანართი N1-ის პირველი მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-8 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალ ıბდეს შემდეგნაირად:
   „1. ეს დებულება განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
   2. შიდა აუდიტის სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც არსებული კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრასა და პრევენციას.
   8. სამსახურის მისამართია: ქ. ვანი, თავისუფლების ქუჩა N65."

მუხლი 2 დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ალექსანდრე ლილუაშვილი
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე